ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს
რაიონის გამგეობის სატენდერო
კომისიის სხდომის
ო ქ მ ი #1

ქ. თბილისი 19.03.2018 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გაიოზ ვასაძე – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – გამგებელი;
კახაბერ გავაშელი – სატენდერო კომისიის წევრი – გამგებლის მოადგილე;
გივი ჯიქია – სატენდერო კომისიის წევრი – საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების უფროსი;
ილია მიქელაიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი – ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი;
ირაკლი ჯიშიაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი –ზედამხედველობისა და რეაგირების განყოფილების უფროსი;
ვლადიმერ კაპანაძე - სატენდერო კომისიის წევრი – თანადაფინანსებული პროექტების განყოფილების უფროსი;
თორნიკე გიორგაძე - აპარატის წევრი - იურიდიული განყოფილების უფროსის სპეციალისტი;
მიხეილ ჩორგოლიანი - აპარატის წევრი - ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
მერაბ კუკულაძე - აპარატის წევრი -- საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ, დიღომი-ვაშლიჯვრის საუბნო სამსახურის ოფისის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

აპარატის წევრმა მერაბ კუკულაძემ გააცნო სატენდერო კომისიას: ა) სატენდერო განცხადების და ბ) სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები, რომლებიც შედგენილი იქნა, საბურთალოს რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის გ. სვანიძის მიერ გადაცემული: შესასყიდი სამუშაოების და ფასების საფუძველზე.

საკითხი გატანილი იქნა კენჭისყრაზე, სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტები. პროექტები მიღებული იქნა ერთხმად.

კომისიამ დაადგინა:

1) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-15 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი.

2) მოხდეს სატენდერო განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე		/გაიოზ ვასაძე/
კომისიის წევრი		/კახაბერ გავაშელი/
კომისიის წევრი		/გივი ჯიქია/
კომისიის წევრი		/ილია მიქელაიშვილი/
კომისიის წევრი		/ირაკლი ჯიშიაშვილი/
კომისიის წევრი		/ვლადიმერ კაპანაძე/
აპარატის წევრი		/თორნიკე გიორგაძე/
აპარატის წევრი		/მიხეილ ჩორგოლიანი/
აპარატის წევრი		/მერაბ კუკულაძე/